სხვა მიმდინარე აქტივები		23 284		-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		2 023 585	1 766 636	1 624 777
სულ აქტივები		4 064 670	3 181 455	2 322 822
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1 767 669	1 289 364	446 086
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		1 196 023	1 467 779	843 278
მთლიანი კაპიტალი		2 963 692	2 757 143	1 289 364
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	728 604	383 869	881 669
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		728 604	383 869	881 669
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	22 458	31 467	83 200
გადასახდელი ხელფასები		3 220		2 196
საგადასახადო ვალდებულებები	11	346 696	8 976	66 393
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		372 374	40 443	151 789
მთლიანი ვალდებულებები		1 100 978	424 312	1 033 458
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		4 064 670	3 181 455	2 322 822

ლ. შინდელიშვილი

დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12	22 959 370	17 539 121
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(18 463 469)	(14 004 859)
საერთო მოგება		4 495 901	3 534 262
კომერციული ხარჯები	14	(1 447 568)	(833 703)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1 473 058)	(1 174 191)
მთლიანი საოპერაციო მოგება		1 575 275	1 526 368
კურსთა შორის სხვაობა		(62 681)	(25 967)
საპროცენტო ხარჯი		(78 292)	(35 381)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	16	(63 662)	2 759
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1 370 640	1 467 779
მოგების გადასახადი		(174 617)	
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		1 196 023	1 467 779

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა შინდელიშვილი

დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გიორგი ზავარანძე

მთავარი ბუღალტერი

7-1 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი, 2018	-	446 086	446 086
გაცემული დივიდენდი	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	843 278	843 278
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	1 289 364	1 289 364
გაცემული დივიდენდი	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	1 467 779	1 467 779
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	-	2 757 143	2 757 143
გაცემული დივიდენდი	-	(989 473)	(989 473)
მოგება წლის განმავლობაში	-	1 196 023	1 196 023
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	2 963 693	2 963 693

ხელმძღვანელობის სახელით:

ლ. შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გიორგი ბაკრაძე
მთავარი მუდრალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	26876774	20368579
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(22 094 819)	(17 399 331)
გადახდილი გადასახადები	(3 817 374)	(2 126 810)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	964 581	842 438
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(833 745)	(742 574)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(833 745)	(742 574)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	11704380	8 980 114
სესხის დაფარვა	(11 359 645)	(9 477 914)
გადახდილი პროცენტები	(78 292)	(35 381)
ფულადი ნაკადები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(62 681)	(25 967)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	203 762	(559 148)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	334 598	(459 284)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	290 548	749 832
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	625 146	290 548

ხელმძღვანელობის სახელით:

ლავა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გიორგი ბაკრაძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერსალი“- შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, სოფელი შინდისი, გელაზის ქუჩა, №3. კომპანიის ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ქვემო თელეთი. კომპანია დაფუძნებულია ლაშა შინდელიშვილის მიერ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ხორცი და ხორცის პროდუქტებით.

კომპანია ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველაწარმოებულ საგანს ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

ხელმძღვანელობის სახელით:
ლაშა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გიორგი ბაგრატიანი
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენს დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ხელმძღვანელობის სახელით:

ლამა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გორგი ბაკარანძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	20 %
ოფისის აღჭურვილობა	20 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20 %
სატრანსპორტო საშუალებები	12.5-20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 20 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,

ხელმძღვანელობის სახელით:

ლავა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გიორგი ზავარანძე
მთავარი მუხალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გიორგი ზაქარაძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა შინდელიშვილი
დირექტორი

გიორგი ბაგრაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გიორგი ზაკარანძე
მთავარი ბუღალტერი

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწის ნაკვეთები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	არამატ. აქტივები	სულ
<i>საზღვანო ღირებულება</i>									
დეკემბერი 31, 2019	201 205		68 182	4 876	1 152	472 316	10 581	397	758 708
მატება	-	89 838	47 016	10 491	-	649 964	19 761	2 169	819 239
კლება									-
დეკემბერი 31, 2020	201 205	89 838	115 198	15 367	1 152	1 122 280	30 342	2 566	1 577 947
მატება			109 741	26 397		678 238	19 369		833 745
კლება									-
დეკემბერი 31, 2021	201 205	89 838	224 939	41 764	1 152	1 800 518	49 711	2 566	2 411 692
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>									
დეკემბერი 31, 2019	-		(13 851)	(1 669)	(1 001)	(39 574)	(4 224)	(344)	(60 662)
მიმდინარე წლის ცვეთა ცვეთის ჩამოწერა		(3 853)	(14 767)	(1 804)	(114)	(77 535)	(4 158)	(234)	(102 465)
დეკემბერი 31, 2020	-	(3 853)	(28 618)	(3 473)	(1 115)	(117 109)	(8 382)	(578)	(163 127)
მიმდინარე წლის ცვეთა ცვეთის ჩამოწერა		(8 984)	(24 069)	(5 182)	(37)	(160 575)	(8 415)	(217)	(207 479)
დეკემბერი 31, 2021	-	(12 837)	(52 687)	(8 655)	(1 152)	(277 684)	(16 797)	(795)	(370 606)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>									
დეკემბერი 31, 2017	-		17 296	2 042	659	63 406	2 463	212	86 077
დეკემბერი 31, 2018	-		27 833	1 526	348	88 392	6 653	132	124 884
დეკემბერი 31, 2019	201 205		54 332	3 207	151	432 742	6 356	53	698 045
დეკემბერი 31, 2020	201 205	85 985	86 581	11 894	37	1 005 171	21 959	1 988	1 414 819
დეკემბერი 31, 2021	201 205	77 001	172 253	33 109	(0)	1 522 834	32 913	1 771	2 041 085

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით აქტივები ბალანსში ასახულია აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივებზე ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა სუპერფინს.

შენიშვნა 6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი ღორი	27377	138849	133 205
იმპორტული ღორი	469663	665987	215 033
მსხვილფეხა საქონლის ხორცი	1629		
ნედლეული და მასალები			13 832
საწვავი	17152	14333	3 703
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	67451	23222	23 298
	583 272	842 391	389 072

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	498451	473767	458 474
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	5233	115548	0
მოთხოვნები მივლინებაზე გაცემული თანხებიდან	19707		
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	290776	13941	27 399
სხვა მოთხოვნები		7158	-
	814 167	610 414	485 873

ხელმძღვანელობის სახელით:

ლავა შინდელიშვილი
 დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო

გიორგი ბაკრაძე
 მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	619146	266756	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5212	23789	749 046
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	788	2	786
	625 146	290 547	749 832

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა

შენიშვნა 9. გრძელვადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი სესხები	728604	383869	881 669
	728 604	383 869	881 669

კომპანიას სს პროგრედიტ ბანკში გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი, რომლის დაფარვაც მოკლევადიან პერიოდში არ იგეგმება.

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	22458	31467	21 169
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3220		59 727
გადასახდელი სოციალური გადასახადი			2 304
		31 467	83 200

შენიშვნა 11. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი			549
გადასახდელი დღგ	346696	8976	63 737
გადასახდელი ქონების გადასახადი			2 107
	346 696	8 976	66 393

ხელმძღვანელობის სახელით:

ლავა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გიორგი ზაკარანძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადასახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადასახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით.

შენიშვნა 12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან (დღგ)	22037473	15674826
შემოსავალი რეალიზაციიდან (ნულოვანი)	846517	1719261
საერთაშორისო სატრანსპორტო მომს.		
(ნულოვანი)	5500	145000
დაკვლის მომსახურება (დღგ)		34
სატრანსპორტო მომსახურება 18%	169	
შემოსავალი რეალიზაციიდან მსხვილფეხა		
საქონლის ხორცი	69711	
	22 959 370	17 539 121

შენიშვნა 13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021 წელი	2020 წელი
გაციდული/შემდენილი საქონელი	18087097	13753369
ძირითადი ნედლეულის ხარჯი		
პირდაპირი ხელფასი	376372	251490
	18 463 469	14 004 859

შენიშვნა 14. კომერციული ხარჯები

14. კომერციული ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასის ხარჯი		
საქონლის შენახვის ხარჯი	991671	687733
რეკლამის ხარჯი		1705
სხვა კომერციული ხარჯი	224621	
საწვავის ხარჯი	231276	144265
	1 447 568	833 703

ხელმძღვანელობის სახელით:

ლამა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

გორგი ბაკარანძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შენიშვნა 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
ცვეთის ხარჯი	191701	101295
ადმინისტრაციის ხელფასი	658056	501985
საკონსულტაციო ხარჯი	1788	9351
იჯარის ხარჯი	62784	57966
კომუნალური ხარჯები	51171	23482
ძირითადი საშუალებების შენახვის ხარჯი	162063	175234
საკანცელარო ხარჯი	5788	4845
კომუნიკაციის ხარჯი	3247	3171
დაზღვევის ხარჯი	39161	21263
ბანკის მომსახურების ხარჯი	21218	14003
ქონების გადასახადის ხარჯი	17979	4416
სხვა საგადასახადო ხარჯი	6055	24970
მივლინების ხარჯი	172401	78505
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	79646	153705
	1 473 058	1 174 191

შენიშვნა 16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2021 წელი	2020 წელი
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		
გადახდილი ჯარიმები		
სხვა შემოსავალი	63662	2759
	63 662	2 759

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“-ს შესახებ. აღნიშნულმა დადგენილებამ არ შეუზღუდა კომპანიას ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, თუმცა დადგენილების სხვა შეზღუდვებმა და მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებთანაც საქართველოს აქვს ურთიერთობა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნულ რეგულაციებში

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა შინდელიშვილი
დირექტორი

გიორგი ბაკარანძე
ზოგადი ბუღალტერი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "უნივერსალი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

შენიშვნა 18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს პირებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ

კომპანიაზე - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები.

	2021 წელი	2020 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების		114
ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	114796	796

შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 27 სექტემბერს

ხელმძღვანელობის სახელით:

ლაშა შინდელიშვილი
დირექტორი

2022 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



გიორგი ბაკრაძე
მთავარი ბუღალტერი